

დოქ. მუკლის ექირი



ჭავერის იტენის ელექტრი



ღონ. ბუღდაბ აფხაზ

# ეგვიპტის მთავარი





დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა: 1766  
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი  
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი  
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი  
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა  
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:  
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2  
2020-06-Y-0003-1766  
სერთიფიკატის ნო: 12930  
1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა  
Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti  
Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია  
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო  
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü  
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı  
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı  
No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE  
ტელ: +90 312 295 72 81  
ფაქსი: +90 312 284 72 88  
e-posta: [yabancidiller@diyanet.gov.tr](mailto:yabancidiller@diyanet.gov.tr)

„ვინ ისურვებს გაკოტრებას? ვინ ისურვებს დაკარგოს ყველაფერი, რაც გააჩნია? განა ადვილია ასეთი სტრესისა და სასოწარკვეთილების გადატანა? ერთ დღეს შუამავალმა გადაწყვიტა მისი მეგობრები ამ ყველაფერზე დაფიქტებულიყვნენ და მათ ჰქითხა: „იცით, თუ არა, ვინ არის გაკოტრებული?“ იქ მყოფთაგან ერთ-ერთმა უპასუხა: „გაკოტრებული ისაა, ვინც მთელ ქონებას დაკარგავს“. თუმცა შუამავალი ამას არ გულისხმობდა. მას სურდა მის მეგობრებს გაეგოთ, რომ ქონების და მთელი ფულის დაკარგვაზე უფრო მძიმე გაკოტრებაც არსებობდა. მისი ნაგულისხმევი გაკოტრება მატერიალურს კი არა, სულიერს უკავშირდებოდა.

შუამავალმა გააგრძელა: ჩემი მიმდევრებიდან ნამდვილად გაკოტრებულად ის ჩაითვლება, რომელიც განკითხვის დღეს მხოლოდ ნამაზით, მარხვითა და გაცემული ზექათით მოვა, არადა ამქვეყნად ცხოვრებისას ვიდაცას შეურაცხყოფა მიაყენა, ვიდაცას ცილი

დასწამა, ვიღაცის ქონება მიითვისა, ვიღაცის სისხლი დაღვარა, ვიღაცას ფიზიკურად გაუსწორდა... (მათი უფლებების აღდგენისათვის, ვისი უფლებებიც მან დაარღვია) მის მიერ ნაკეთები მადლი დაზარალებულებს გაუნაწილდებათ. თუ სამართლის აღდგენამდე მისი მადლი ამოიწურება, დაზარალებულებს ცოდვები მოეხსნებათ და მას დაეწერება. ამის შემდეგ ის ჯოჯოხეთში განმწერებად“. (მუხლიმ, ბირ ვე სილა, 59)

## რო არა უფლება?

ადამიანი დედამიწის ყველაზე ღირებული, გონიერი და ძლიერი არსებაა. მან იტვირთა ის პასუხისმგებლობა, რაც „ცამ და დედამიწამ ვერ იტვირთა“. შესაბამისად ადამიანის ცხოვრებას თან ახლავს პასუხიმგებლობა. სადაც პასუხიმგებლობაა იქ გარკვეული უფლებებიც არსებობს, რადგან უფლება და პასუხიმგებლობა ერთიმეორეს ავსებენ და ისინი ერთიმეორის მეოხებით იძენენ მნიშვნელობას.

ჩვენს ენაში უფლება და ჭეშმარიტება გაიგივებულია. ჭეშმარიტება მართალ ნათქვამს და სწორ გზას ნიშნავს. უფლება, ეს სიმართლეა, რომელიც უნდა განხორციელდეს. უფლება ადამიანის პრივილეგია, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში მას უპირატესობას აძლევს. შესაბამისად უფლება ის შესაძლებლობაა, რომელსაც სამართალი უფლების მქონეს უნარ-ჩუნებს.

უპირველეს ყოვლისა, აბსოლუტური ჭეშმარიტება უზენაესი გამჩენია. მისი არსებობა უალტერნა-



ისლამის მიხედვით უფლება  
უფრო მეტად დაფუძნებულია  
გაცემაზე, ვიდრე აღებაზე.  
ეს იმას ნიშნავს, რომ  
მუსლიმი უპირველეს  
ყოვლისა სხვების უფლებებს  
უნდა უფრთხილდებოდეს და  
ამის შემდეგ მოითხოვოს  
თავისი.



ტივო, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

ყველა არსება მან გააჩინა და ასევე ამქვეყნიური ცხოვრების რეგულირებისათვის აუცილებელი უფლება-მოვალეობებიც მან გაგვაცნო. „ღმერთო, შენ ჭეშმარიტი ხარ, შენი აღთქმაც ჭეშმარიტია, შენი სიტყვაც ჭეშმარიტია და ასევე ჭეშმარიტებაა ის, რომ შენდამი მოვიქცევით“. (ბუპარი, ოევჭიდ, 35)

ღმერთი სულ მცირედითაც რომ იყოს, არავის უფლებას არ დაარღვევს. ის ყველას სამართლიანად სწყალობს. ღმერთის ცოდნა და სიბრძნე უსაზღვროა და ყველა ადამიანის უფლებას თავად განკარგავს. ის ადამიანებისგან სამართლიანობის დაცვას ითხოვს, რათა დედამიწაზე ცხოვრების პროცესში წონასწორობა შენარჩუნდეს. ისლამში უფლება გაცემის პრინციპზეა აგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა სხვათა უფლებები უნდა დავიცვათ და შემდეგ საკუთარი მოვითხოვთ.

ყოველდღიურ ცხოვრებას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მრავალი მიმართულებით მოვალეობები გაგვაჩნია. ჩვენ მოვალე-

უფლება და  
პასუხისმგებლობა  
სასწორის ორი მხარეა.  
ადამიანს თავისი უფლებების  
საპირისპიროდ შესაბამისი  
წონის პასუხისმგებლობა  
გააჩნია.

სადაც არსებობს უფლება,  
იქ არსებობს ვალდებულებაც  
და ვალდებული ვინცაა, ის  
ითვალისწინებს უფლებას.

ობები გვაკისრია ღვთის წინაშე,  
შუამავლის წინაშე, ისლამის წინა-  
შე, მშობლების წინაშე, საკუთარი  
სხეულის წინაშე, მეზობელების,  
მეგობრების, ობლების, ღარიბების,  
მგზავრების, ყოველი ადამიანის,  
ყველა არსებისა და გარემოს წინა-  
შეც გარკვეული ვალდებულებე-  
ბი გაგვაჩნია. ყველა ამ უფლების  
გათვალისწინებისა და შესაბამისი  
მოვალეობების შესრულების შემ-  
დეგ ჩვენ გველოდება შესაფერისი  
ჯილდო. როგორც უკვე აღვნიშ-  
ნეთ, ყოველ უფლებას ახლავს შე-  
საბამისი მოვალეობაც.





ჩვენი დამოკიდებულება  
ღმერთთან განსაზღვრავს თუ  
რა დამოკიდებულება გვექნება  
ადამიანებთან. შესაბამისად,  
ღვთის წინაშე ჩვენი  
ვალდებულებების შესრულება  
მხოლოდ ღვთისმსახურებით  
არ არის განსაზღვრული.  
ის საზოგადოებისთვის  
სასარგებლო საკითხებსაც  
მოიცავს.

უფლება და პასუხისმგებლობა  
სასწორის ორი მხარეა. ადამიანს  
თავისი უფლებების საპირისპიროდ  
შესაბამისი წონის პასუხიმგებლო-  
ბა გააჩნია. სადაც არსებობს უფ-  
ლება, იქ არსებობს ვალდებულე-  
ბაც და ვალდებული ვინცაა, ის  
ითვალისწინებს უფლებას.

გამომდინარე აქედან, ჩვენ ყვე-  
ლას მრავალი მიმართულებით უფ-  
ლებებიც გაგვაჩნია და მოვალე-  
ობებიც. ადამიანის უფლებები და  
პასუხიმგებლობები ორ ძირითად  
ჯგუფად შეიძლება გავყოთ: ღვთის  
წინაშე არსებული უფლება-მოვა-  
ლეობები და ადამიანებს შორის  
არსებული უფლება-მოვალეობები.  
პირველი გულისხმობს ყველა იმ

გალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც გამჩენის წინაშე გვაკისრია, ხოლო მეორე ის რეგულაციებია, რაც ადამიანებს თანაცხოვრების პროცესში სჭირდებათ.

### ლითა ნანაშე აზხვული დოკუმენტები

როგორ უნდა მოვიხადოთ დვორის წინაშე ვალი, როცა გაგვაჩინა, უთვალავი წყალობით აგვავსო, გვასულდგმულებს, გვიცავს, გვიბრალებს, გვპატიობს და გვაცხონებს?! რა არის ის პასუხისმგებლობა, რაც ჩვენი გონების, უნარების, ცოდნისა და შესაძლებლობების მიხედვით გაგვაჩინა?! დმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობები რა სახით ფორმირდება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ისევ და ისევ შუამავალს უნდა მივმართოთ. გავიხსენოთ შუამავლისა და მუაზ ბინ ჯებელის დიალოგი: „მუაზ, იცი ადამიანებს დმერთის წინაშე რა ევალებათ? – „დმერთმა და შუამავალმა უკეთ იციან“, - უპასუხა მუაზმა. შუამავალმა კი ბრძანა: „ადამიანების დვორის წინაშე ვალია თანაზიარი არ გაუხადონ მას და აღასრულონ დვორისმსახურება. – „და ამის შემეგ დმერთი რას გააკეთებს?“ -

იკითხა ისევ შუამავალმა. მუაზის პასუხი იგივე იყო, რომ დმერთმა და შუამავალმა უკეთ იცოდნენ. შუამავალმა კი გააგრძელა: „დმერთი მათ სასჯელს ააშორებს და სამოთხეში დაამკვიდრებს“. (იხ. მუსლიმ, იმან, 48, 29)

ლვთის წინაშე ჩვენი უპირველესი ვალია ვიწამოთ დმერთი, ვალიაროთ მისი არსებობა და ერთადერთობა. ამის შემდეგ ჩვენი ვალია ლვთისმსახურება. დიადი გამჩენი ყურანში ბრძანებს:

„თაყვანი ეცით ალლაჰს და არა- ვინ გაუხადოთ თანაზიარი მას. და კარგად მოეპყარით მშობლებს, ახ- ლობლებს, ობლებს, დატაკებს, მე- ზობლებს, ნათესავებსა და უცხო- ებს, თანამოძმეებს, მოგზაურებს და მათ, რომელნიც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს, ვინც არიან ქედმაღალნი, მედიდურნი“. (ნისა 4/36)

აიათიდან გამომდინარე დმერთი მოგვიწოდებს რწმენასა და თაყვა- ნისცემას. ჩვენ უნდა გავიაზროთ ერთი დმერთს რწმენა და მსახურება. ლვთისადმი რწმენა სხვა ადა- მიანებთან ურთიერთობაში უნდა აისახებოდეს. დმერთი მხოლოდ

დვთიმსახურებას არ გვავალებს. მისდამი რწმენა ყველასათვის სასარგებლო, საზოგადოებრივ საკითხებსაც მოიცავს. ადამიანთა უფლებების დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ზრუნვა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა დვთისადმი რწმენის გამოვლინებაა.

## ჩვენი დღის აღიმათნისა და

### საზოგადოების ნინაშვილი

ადამიანისა და ზოგადად საზოგადოებრივი ვალი ადამიანებისა და გარემოს მიმართ ვალდებულებებს გულისხმობს. ყოველ ადამიანს დაბადებიდანვე გარკვეული უფლებები ენიჭება და ამასთანავე ცხოვრების მსვლელობისას ის იძენს სხვადასხვა უფლებებსა და მოვალეობებს. ესენი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური სახის, ისე სულიერი სფეროსთვის დამახასიათებელი უფლებები და მოვალეობები. ცხოვრების მანძლზე ჩვენ მოვიპოვებთ უფლებას მივიღოთ ყველა ის სიკეთე, რომელიც სიყვარულს, მეგობრობას და ურთიერთებებს აძლიერებს და სამართლიან გარემოს ქმნის და სხვების მიმართ ჩვენს დამოკიდებულებებსაც ამის

მიხედვით ვარეგულირებთ. შუამავალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანისა და ზოგადსაკაცობრიო უფლებებს. (იხ. ებულავუდ, ბუიუ, 49)

ჩვენს რელიგიაში ადამიანის უფლებები ნათლადაა განსაზღვრული. როდესაც ადამიანი ღვთის წინაშე არსებულ მოვალეობას იხდის და ღვთისმსახურებას ასრულებს, ამავდროულად სხვა ადამიანების უფლებები არ უნდა დაარღვიოს.

აქვე გავიხსენოთ შუამავლის რჩევა, რომელიც მან აბდულლაჰინ ამრს ურჩია. აბდულლაჰი დრმადმორწმუნე ადამიანი იყო. ის ღმერთთან დაახლოების მიზნით ყოველდღე ცდილობდა ემარხულა, დამეებს ლოცვაში ატარებდა და ყოველდღურად ყურანს კითხულობდა. დროთა განმავლობაში ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ აბდულლაჰი ოჯახს სათანადო ყურადღებას ვეღარ აქცევდა. აბდულლაჰის მამამ ეს ამბავი შუამავალს მოუყვა. შუამავალმა აბდულლაჰს შეხვდა და უთხრა: „აბდულლაჰ, გავიგე, რომ დღისით მარხულობ და დამეებს ლოცვაში ატარებ. ასე არ მოიქცე. შენი სხეულის, შენი თვალების და შენი ოჯახის უფლებები

არ დააღვით“.<sup>26)</sup> (იხ. მუხლიმ, სიამ 193)

ცნობილია ასევე მსგავსი შემთხვევა, როდესაც შუამავალმა ოსმან ბინ მუაზი გააფრთხილა, რომ საკუთარი თავის, ოჯახის და სტუმრის უფლებები არ დაერღვია. ოსმანიც სრულად დვთისმსახურებაზე იყო გადასული ამქეყნიური ყველაფური მიტოვებული ჰქონდა. (იხ. ებუ დავუდ, თათავვუ, 27) გამომდინარე აქედან ზომიერება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამაა.

საზოგადოებრივი ქონებისა და საზოგადოებრივი ვალის მიმართ ყურადღების გამოჩენა მორწმუნის ვალდებულებაა. ყურანში ნაბძანებია:

„შეუძლებელია შუამავალმა იცრუოს. და ვინც იცრუებს, თავისივე ტყუილით წარსდგება აღდგომის დღეს. მერე ყველა სულს სრულად მიეზღვება თავისი შენაძენისთვის, და ისინი არ დაიჩაგრებიან“.<sup>27)</sup> (ალი იმრან 3/161)



როდესაც ვფიქრობთ,  
რომ ამქვეყნიური  
ცხოვრება დროებითია  
და ქონება  
ადამიანს ამანათად  
აქვს მიბარებული,  
მაშინ გაცემის  
მნიშვნელობა უფრო  
მკაფიო და აზრიანი  
ხდება.

არ უნდა  
დაგვავიწყდეს,  
რომ ღვთის წინაშე  
ადამიანის ვალით  
წარდგომა დიდი  
ცოდვაა.  
თუ ვინმეს  
უფლება დავარდვიეთ,  
უნდა გეცადოთ  
გამოსწორებას  
და პატიება გთხოვთ.

შუამავალი საზოგადოებრივ ქონებას დიდ ყურადღებას აქცევდა და ამ მხრივ მისი დამოკიდებულება დიად აქვს დაფიქსირებული. ცნობილია, რომ შუამავალი საზოგადოებრივი ქონების ქურდების გასვენებას არ ესწრებოდა. (იხ. მუვათ, ჯიპად, 23) ერთხელაც პზ. ომარმა შუამავალს უთხრა, რომ ვიღაც მებრძოლი შაჰიდი გახდა. შუამავალმა კი უთხრა, რომ ის პიროვნება საერთო ნადავლიდან მოპარული მოსაცმელით ჯოჯოხეთში ნახა. (იხ. მუხლიმ, იმან, 182)

გზა, სკოლა, შადრევანი და მსგავსი ადგილები, რომლებიც საზოგადოებრივი სარგებლობისა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და ჩვენი დამოკიდებულებებით სხვათა უფლებები არ უნდა დავარღვიოთ. (იხ. ბუჭარი, მეზალიმ, 13) შუამავალი ასევე ბრძანებს, რომ პიროვნების საკუთრებაში არსებული მიწები ხელშეუხებელია და ასევე ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საზოგადოებრივი მოხმარების ადგილებს, როგორიცაა გზები, მოედნები და სხვა. გზაზე მოსიარულები არ უნდა შევაწუხოთ, გზები არ უნდა გადავკეტოთ, სალამზე სალმითვე გუპასუხოთ, სიკეთე ვაკეთოთ და

ბოროტებას გასაქანი არ მივცეთ.  
(იხ. ბუჭარი, მეზალიმ 22)

სამწუხაროდ დღევანდელ ცხოვ-  
რებაში პიროვნული და საზოგა-  
დოებრივი უფლებების დარღვევის  
ფაქტები ყოველდღიურად ვლინდე-  
ბა. ხშირია სხვისი ქონების ხელო-  
ყოფის ფაქტები, საზოგადოებრივი  
ქონების დაზიანებისა და ვანდა-  
ლიზმის შემთხვევები. ადამიანები  
იპარავენ წყალსა და ელექტრო-  
ენერგიას. ყოველდღიურად გვესმის  
ქრთამის აღებისა და შერჩევითი  
სამართლის ფაქტები. იფლანგება  
სახელმწიფო ბიუჯეტი, რაიონების,  
მერიის, საქველმოქმედო ფონდების  
ფული, ზიანდება ინვენტარი და  
სხვა. ადამიანები საკუთარი სარ-  
გებელის გამო დაუდევრად ანაგვი-  
ანებენ პაერს, გარემოს, წყალს. არ  
იცავენ საგზაო მოძრაობის წესებს.  
ხმამაღალი მუსიკით აწუხებენ  
ადამიანებს. ძირს ყრიან სიგარე-  
ტის ნამწვებს, ბოთლებს, პაკეტებს  
და ა.შ. ყველა ესენი და მსგავსი  
ქცევები მორწმუნე მუსლიმისთვის  
შეუფერებელი საქციელია და შე-  
საბამისად მიუღებელია.

ასევე სამწუხარო მაგალითე-  
ბის მოყვანა კიდევ შეიძლება და  
ეს უკანასკნელი საზოგადოება-

ში თითქმის ნორმადაა მიჩნეული, თუმცა საზოგადოებრივი წესრიგისა და სტაბილურობისათვის დიდი ზიანის მომტანია. მაგალითად მიცემული სიტყვის შეუსრულებლობა, ტყუილი, სამსახურში დროის უქმად ფლანგვა, გამოცდებზე ე.წ. შპარგალკის გამოყენება, ან შეკითხვების წინასწარ მოპარვა, მანქანის არასწორ ადგილას პარკირება, პლაგიატობა, სხვისი ინტერნეტის უნებართვოდ გამოყენება, უბილეთოდ მგზავრობა, რიგში უნებართვოდ წინ წასვლა და სხვა.

ის ადამიანები, რომლებიც სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ნამუსს და სხვა ხელშეუხებელ უფლებებს არ დაიცავენ, საიქიოში აუცილებლად დაისჯებიან. ასევე დაისჯებიან ისინი, ვინც საზოგადოებრივ ქონებას ზიანს მიაყენებენ. საიქიო ბედნიერებისათვის კი ადამიანი ამქვეყნადვე უნდა ზრუნავდეს და მან სხვების უფლებები არ უნდა დაარღვიოს. შუამავალი ბრძანებს: ჩემი მიმდევრებიდან ნაძღვილად გაკოტრებულად ის ჩაითვლება, რომელიც განკითხვის დღეს მხოლოდ ნამაზით, მარხვითა და გაცემული ზექათით მოვა, არადა ამქვეყნად ცხოვრებისას ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენა,

ვიდაცას ცილი დასწამა, ვიდაცის ქონება მიითვისა, ვიდაცის სისხლი დაღვარა, ვიდაცას ფიზიკურად გაუსწორდა... (მათი უფლებების აღდგენისათვის, ვისი უფლებებიც მან დაარღვია) მის მიერ ნაკეთები მადლი დაზარალებულებს გაუნაწილდებათ. თუ სამართლის აღდგენამდე მისი მადლი ამოიწურება, დაზარალებულებს ცოდვები მოეხსნებათ და მას დაეწერება. ამის შემდეგ ის ჯოჯოხეთში განმწერება“. (მუსლიმ, ბირ ვე სილა, 59)

### სიკონსტას უფლება

ყოველ ადამიანს დაბადებიდანვე გააჩნია ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა რელიგია, ეროვნება, კანის ფერი, სქესი და სხვა. ყოველი ადამიანის სიცოცხლე ძვირფასი და ხელშეუხებელია. ყურანში ნაბრძანებია:

„ამისთვის დავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეე-

განკითხვის დღეს  
გაკოტრებულთა სიაში  
რომ არ აღმოვჩნდეთ,  
ამქვეყნად სხვათა უფლებები  
არ უნდა დავარღვიოთ.  
ახლა წარმოგიდგენთ  
ამ მიმართულებით  
გასათვალისწინებელი  
ზოგიერთი უფლების  
შესახებ.

ნარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ!  
ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ  
მათთან მისულნი ცხადი მტკიცე-  
ბანით , მაგრამ ამის შემდგომაც,  
უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც  
განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარ-  
გადასულობას “. (მაიდჟ, 5/32)

სიცოცხლის უფლება მუცლად-  
ყოფნისთანავე იწყება. არავის აქვს  
უფლება შეწყვიტოს ნაყოფის სი-  
ცოცხლე აბორტის ან სხვა მსგავ-  
სი მეთოდებით, თუ ამას გადაუდე-  
ბელი სამედიცინო აუცილებლობა  
არ ითხოვს. ყურანში ნაბრძანებია:

„და არ მიეკაროთ ობლების ქო-  
ნებას, სანამ სრულწლოვანებას მი-  
აღწევენ, გარდა სასიკეთოდ; და შე-  
ასრულეთ ზომა და წონა ჭეშმარი-  
ტად, ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ

სულიერს, გარდა რაც ძალუბს. და როცა თქვენს აზრს გამოთქვამთ, იყავით სამართლიანნი, თუნდ ნათე-სავი იყოს. და შეასრულეთ თქვენ ალლაპის აღთქმა. აი, ასე დაგიწე-სათ მან, ეგების გულისხმაპყოთ თქვენ!“ (ენამ 6/151)

ყოველ ბავშვს დაბადებიდანვე უფლება აქვს იცხოვროს მშობ-ლებთან ერთად, იყოს კარგად მი-ლებული, ჰქონდეს საკვები, მიიღოს განათლება, იყოს დაცული და ა.შ. ყოველი ბავშვის სულიერი და ფი-ზიკური უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს. როგორც კი ბავშვი სრულწლოვანი გახდება უფლებებ-თან ერთად პასუხიმგებლობებიც დაეკისრება. ყოველ ზრდასრულ ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს ისეთ გარემოში, სადაც მისი სული-ერი და ფიზიკური უსაფრთხოება, სადაც მისი ლირსება და საკუთრე-ბა დაცული იქნება. ყურანში ნაბრ-დანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაქ, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთ-მანეთს და არ მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი მეტსახელებით.

რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ  
ცუდია თვისებაა სისაძაგელე. ხო-  
ლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ,  
რომ ეგენი არიან უსამართლონი.

პეტ თქვენ, რომელთაც ირწმუ-  
ნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარა-  
უდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდ-  
ვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმე-  
ორის შეცდომები და არ გაკილოს  
ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვე-  
ბი. განა სურს თქვენგან რომელი-  
მეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი  
მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ  
აიტანო მას. მაშ, გეშინოდეთ ალ-  
ლაპის! უეჭველად, ალლაპი შემნ-  
დობია, მწყალობელია“. (პუჯურათ 49/11-  
12)

შუამავალი გამოსამშვიდობე-  
ბელ ქადაგებაში ამბობს: „(ხალ-  
ხო) როგორც წმინდაა ეს (ზილ-  
ჰიჯჰე) თვე, ეს ქალაქი (მექა), ეს  
დღე (არაფა), ისეთვე წმინდაა თვე-  
ნი სიცოცხლე, სისხლი, ქონება და  
ლირსება და იგივენაირად ხელშეუ-  
ხებელია“. (ბჟჰარი, ილიმ 9)

### შრომულების დაღი

ადამიანის წინაშე ვალდებულე-  
ბების ხსენებაზე, უპირველეს ყოვ-  
ლისა, ყველაზე ახლობლები გვახ-  
სენდება. აიათში ნაბრძანებია:

ჩვენ მშობლის  
წინაშე ვალში  
ვართ იმ ტკბილი  
იავნანას,  
ვედრებისა  
და კეთილი  
სურვილების  
გამო.



„იმ დღეს გაიქცევა ადამიანი  
ლვიძლი ძმისგან, დედისგან, მამის-  
გან,

მეუღლისგან და შვილებისგან!“  
(აბგსე 80/34-36) ყველაზე მეტი უფლე-  
ბა-მოვალეობები ვის წინაშეც გვა-  
კისრია, ესენი სწორედაც, რომ ჩვე-  
ნი ყველაზე ახლო ნათესავები და  
ოჯახის წევრები არიან. დედები  
შვილებს ცხრა თვე მუცლით ატა-  
რებენ, შემდეგ კი როგორი მზრუნ-



ველობითა და წვალებით ზრდიან. რამდენი უძილო ღამეები, საკვებზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ტკბილი იავნანა და კიდევ რამდენი რამ არის, რასაც მშობელი შვილისთვის აკეთებს. შუამავალი ბრძანებს, რომ ყველაზე კარგი ურთიერთბა დედასთან უნდა გვქონდეს. (იხ. ბჟჰარი, ედებ, 2)

ასევე დიდი ამაგი აქვთ მამებს. ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე

შრომობენ, რათა ოჯახი, შვილები გამოკვებონ და მათი უსაფრთხოება დაიცვან. განა იმ მამის ამაგი აიწონება, რომელიც წესიერ შვილებს გაზრდის?! მამა ის ადამიანია, რომელიც შვილების სულიერ და ფიზიკურ სიჯანსაღეზე ზრუნავს.

ყოველი მამა, რომელიც სვილების აღზრდაზე ზრუნავს, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. როდესაც შუამავალი მამის ამაგზე ყვებოდა, მან ბრძანა: „მამის ამაგს ვერცერთი შილი ვერ გადაიხდის. იქნებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადმე მონად მყოფს მიაგნებს, გამოისყიდის და გაათავისუფლებს“. (მუხლიმ, ითქ. 25)

დიადი დმერთი რწმენის შემდეგ ადამიანებისგან მშობლებისადმი პატივისცემას ითხოვს:

„თაყვანი ეცით ალლაპს და არავინ გაუხადოთ თანაზიარი მას. და კარგად მოეპყარით მშობლებს, ახლობლებს, ობლებს, დატაკებს, მეზობლებს, ნათესავებსა და უცხოებს, თანამოძმებს, მოგზაურებს და მათ, რომელნიც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა. უეჭველად, ალლაპს არ უყვარს, ვინც არიან ქედმაღალნი, მედიდურნი“, (ნისა 4/36)

მითუფრო, როცა მშობლები მოხუცდებიან, მათ განსაკუთრებული ყურადღება და თბილი მოპყრობა სჭირდებათ:

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწიევს სიბერემდე, არ უთხრა: „ვჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა

17/23-24)

## შესლების ნინაშე დალექტულება

როგორც შვილებს მშობლების მიმართ ვალდებულებები გააჩნიათ, ისე მშობლებსაც შვილების მიმართ გააჩნიათ ვალდებულებები. უპირველეს ყოვლისა შვილი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც დაიბადა და არ უნდა განვასხვავოთ ბიჭია თუ გოგო. ჯერ ლამაზი სახელი უნდა შევურჩიოთ, მერე მის ჯანსაღ კვებაზე უნდა ვიზრუნოთ. ბავშვი თანასწორ და სამართლი-

ან გარემოში უნდა იზრდებოდეს. დაუშვებელია ძალადობა ან და- ძმებისგან გამორჩევა, ბავშვობისა და თინეიჯერობის ასაკში უნდა შევასწავლოთ რელიგია, კულტუ- რა, ტრადიციები, ხელი შევუწყოთ კარგად სწავლაში და კარგი პრო- ფესიის არჩევაში. როცა დრო მოვა, ასევე ხელი უნდა შევუწყოთ ქორ- წინების საკითხში, რათა ბედნიერი ოჯახი შექმნას.

## შესაბამის უფლებები

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთ-ში სიყვარული და მოწყალება. უეჭ- ველად, ამაში სასწაულებია მოაზ- როვნე ხალხთათვის!“ (რუმ 30/21) რო- გორც აიათშია ნაბრძანები დმერთ- მა შეუდლებულებს სიყვარული და შემწყნარებლობა უწყალობა. ამდენად ორივე მეუდლეს უფლება აქვს მეუდლისგან სიყვარული და პატივისცემა მიიღოს. ქორწინება როგორც მამაკაცის, ისე ქალისთ- ვის ბედნიერებისა და სიმშვიდის გარანტი უნდა იყოს. მეუდლეები ერთიმეორებს მუდმივად მხარში უნ- და ედგნენ და ავსებდნენ.

ამასთანავე ყურანში მოცემულია თუ რა პასუხისმგებლობები აკისრიათ ქორწინებაში მყოფ წყვილებს. ქორწინება სერიოზული ნაბიჯია და ყოველი ადამიანი, რომელიც ოჯახს შექმნის, აუცილებლად უნდა დაფიქრდეს ოჯახისა და თანაცხოვრების მნიშვნელობაზე. ოჯახური თანაცხოვრების დროს მეუღლეებმა უნდა გაითვალისწინონ ერთიმეორის უფლებები და ასევე უნდა გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. ქორწინების შესახებ ყურანში მრავალი რჩევაა მოცემული. ყურანში ასევე განმარტებულია ქორწინებისა და განქორწინების წესები:

„გაცილებული ქალები თავს იკავებენ (ხელმეორედ დასაქორწინებლად) სამ ქალთა წესს. თუ სწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ნება არ აქვთ დამალონ, რაც ალლაჰმა გაუჩინა მათ საშვილოსნოებში. ხოლო მათი ქმრები უფრო დირსეული არიან ამ დროს დაიბრუნონ ისინი, თუკი სურთ შერიგება. და ქალებს აქვთ იგივე უფლებები, რა უფლებებიც მათზე (ქმრებს) აქვთ კანონის ფარგლებში. ოღონდ ქმრები მათზე მაღლა არიან ერთი საფეხურით. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.



ეოგელი  
მუსლიმის გალია  
ჭირსა და ლხინში  
ნათესავის  
ბვერდით  
იყოს და  
რთულ დღეებში  
თანადგომა  
გამოუცხადოს.



განქორწინება მხოლოდ ორჯერაა (შესაძლებელი). ამის შემდგომ თქვენ ან დაიტოვებთ ცოლებს წესისამებრ ან გაეყრებით კეთილგანწყობით. ნებადართული არ არის არანაირი თქვენს მიერ ნაჩუქარის უკან გამორთმევა, მხოლოდ მაშინ, თუ ორივე მხარეს ეშინია, რომ გადავა ალლაპის დადგენილ ნორმებს. და თუ თქვენ გეშინიათ, რომ ის ორი ვერ დააკმაყოფილებენ ალლაპის დადგენილ ნორმებს, მაშინ ცოდვა არაა არც ერთზე იმაში, რომ ქალი თავს გამოისყიდის. ასეთია ალლაპის დადგენილი ნორმები და არ გადასცდეთ მას. და ვინც გადასცდება ალლაპის დადგენილ ნორმებს, სწორედ, ისინი არიან ცოდვილნი!“ (ბაყარა 2/228) აიათში მოცემულია თუ რა უფლებები გააჩნიათ ქორწინებაში მყოფ ადამიანებს და როგორ არის დარეგულირებული ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები.

### ნოესია უფლებები

როდესაც ოჯახი ფართოვდება, ამის ბუნებრივი შედეგია ნათესავური კავშრების გამრავლება. ნათესავობაც თავის მხრივ გარკვეულ ვალდებულებებს ბადებს. ღმერთი გვიბრძანებს შევინარჩუნოთ ნათე-

სავური კავშირები და დავეხმაროთ ნათესავებს.

„უმჭველად, ალლაპი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიცვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმავოთ!“ (ნაკლ 16/90)

გამომდინარე აქედან ყოველი ადამიანი ვალდებულია სიკეთით მოეპყრას ნათესავს და დაეხმაროს მას. ეს მოგვეთხოვება როგორც ზნეობრივად, ისე სულიერადაც. შუამავალი ბრძანებს: „ვისაც სწამს ღმერთის და განკითხვის დღისა, ნათესავური კავშირები არ გაწყვიტოს“. (იხ. ბჟჰარი, ედებ 85) ყოველი მუსლიმის ვალია ჭირსა და ლხინშ ნათესავის გვერდით იყოს და რთულ დღეებში თანადგომა გამოუცხადოს.

### შესრულება

ღმერთი ბრძანებს, რომ მეზობლებს, ახლო იქნება თუ შორი, სიკეთით უნდა მოვეპყროთ. (იხ. ნისა 4/36) შუამავალი კი მოგვიწოდებს: „მეზობელს სიკეთე გაუკეთე, რათა მორწმუნე იყო“. (იხ. თირმიზი, ზუპდ, 2) თა-

ნამედროვე ეპოქაში მეზობლური ურთიერთბები შესუსტებულია, ამიტომ შუამავლის ამ რჩევას დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

ყოველ მეზობელს უფლება აქვს მეზობლისგან სიკეთე მიიღოს. შუამავალი გვირჩევს, რომ წვნიანის მომზადებისას ცოტა მეტი მოვამზადოთ და მეზობლები გავითვალისწინოთ. (იხ. მუსლიმ, ბირ ვე სილა 143) როდესაც შუამავლის მეგობართაგან აბდულლაჰ ბინ ამრი სახლში მივიდა, ნახა, რომ ცხვარი დაეკლათ და გემრიელი ვახშამი მოემზადებინათ. აბდულლაჰმა მაშინვე იკითხა, ჩვენს ებრაელ მეზობელს თუ მიართვითო. შემდეგ კი დასძინა, რომ მას ახსოვდა შუამავლის შემდეგი სიტყვები: „(ანგელოზმა)ჯებრაილმა მეზობლის შესახებ იმდენი რამ მითხრა, რომ მეგონა მეზობელს მეზობლის მემკვიდრედ დაადგენდა“.

(თირმიზი, ბირ ვე სილა 28)

გარდა ამისა, ყოველი ადამიანი ვალდებულია მეზობელი დაიცვას უბედურებისა და ზიანისაგან. თითოეული ჩვენგანი მეზობელს უნდა იცავდეს, როგორც მატერიალური, ისე სულიერი ზიანისგან. შუამავალი ამბობს, რომ სახლის ან მიწის გაყიდვისას მეზობელს

უპირატესობა გააჩნია. (იხ. ებუ დავუდ, ბუიჟ 75) ის ადამიანი, რომლის შესახებაც მეზობელი დარწმუნებული არ არის, რომ არაფერს დაუშავებს, სამოთხეში ვერ შევაო, ბრძანს შუამავალი.

(იხ. მუხლიმ, იმან 73. ეს გაფრთხილება ცხადყოფს, რომ მეზობლებთან ურთიერთბა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას მოითხოვს. შუამავალი ასევე ბრძანებს, რომ ადამიანი, რომელიც სავალდებულოს გარდა, ზედმეტ დვოისმსახურებას არ ასრულებს, მაგრამ მეზობელს არაფერს დაუშავებს, სამოთხეში შევა, მაგრამ ის ადამიანი, რომელიც ბევრ დვოისმსახურებას შეასრულებს, მაგრამ მეზობელს გააწამებს, მისი ადგილი ჯოჯოხეთში იქნებაო (იხ. იბნ ჰანბელ, 2/ 440)

## ობლივის უფლებება

ჩვენი ოჯახისა და ახლობლების გარდა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენგან ყურადღებას საჭიროებენ და მათ აქვთ უფლება ეს ყურადღება მიიღონ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც საკუთარი უფლებების დაცვა უჭირთ და მარტივად რომ ვთქვათ დაჩაგრულ მდგომარეობაში გრძნობენ თავს. ასეთები შეიძლება იყო ობლები, ქვრივები, დარიბები, უსახლკაროები, ლტოლვილები და სხვა. ყურანის მრავალ აიათში ნაბრძანებია, რომ ობლების ქონების უსამართლოდ მითვისება კატეგორიულად




აკრძალულია. ამის ჩამდენს სასტიკი სასჯელი ემუქრება.

„და არ მიეკაროთ ობლების ქონებას, სანამ სრულწლოვანებას მიაღწევენ, გარდა სასიკეთოდ; და შეასრულეთ ზომა და წონა ჭეშმარიტად, ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ სულიერს, გარდა რაც ძალუძს. და როცა თქვენს აზრს გამოთქვამთ, იყავით სამართლიანნი, თუნდ ნათესავი იყოს. და შეასრულეთ თქვენ ალლაპის აღთქმა. აი, ასე დაგიწესათ მან, ეგების გულისხმაჲოთ თქვენ!“

ობლების მიმართ გულწრფელი გულისხმიერება უნდა გამოვიჩინოთ და არა მოჩვენებითი. მათდამი ჩვენი დახმარება ხანგრძლივი და ეფექტური უნდა იყოს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია არ დავამციროთ და თავი დაჩაგრულად არ ვაგრძნობინოთ. მათ არ უნდა იგრძნონ, რომ მარტონი ან თანადგომის გარეშე არიან დარჩენილი. მათ აღზრდა, სწავლა, პროფესიის შეძენა და გზაზე დაყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათდამი გამოჩენილი გულწრფელი თანადგომის ჯილდო სამოთხეა. (იხ. იბნ ჰანბელ, 5/250)





იმ საზოგადოებაში,  
სადაც უფლებები  
დაცულია  
და ყველა თავის  
მოვალეობას ასრულებს,  
ყოველთვის სიმშვიდე  
და სტაბილურობაა.

## ლომის უსახურითი უფლებები

ღმერთი ბრძანებს:

„და მათ ქონებაში წილია, მთხოვნელთათვის და ღატაკთათვის“ (ზარიათ 51/19)

ამ აიათით ცხადია, რომ ღარიბთა და უპოვართა უფლებაა მიიღონ ჩვენგან ქველმოქმედება. გაჭირვებაც და დალხინებაც აღამიანურია. ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია და ქონება, რომელიც გაგვაჩნია ღმერთმა დროებით გვიწყალობა. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვალდებული ვართ გულთან მივიტანოთ სხვისი გაჭირვება და დახმარების ხელი გავუწოდოთ.

ყურანში ნაბრძანებია, რომ გაჭირვებულებზე დახმარება კარგი მორწმუნის თვისებაა. (იხ. ბაყარა 2/177) გაჭირვებულს ვინც დაეხმარება და მატერიალურ შესაძლებლობებს საქველმოქმედოდ გამოიყენებს, ღმერთი მას ბარაქას უწყალობებს. შუამავალი ბრძანებს: „ვინც მუსლიმს დაეხმარება და მის ნაკლოვანებას დაფარავს, ღმერთი ამქვეყნადაც და საიქიოშც მის ნაკლოვანებას დაფარავს. სანამ მსახური თავის ძმას ეხმარება, ღმერთიც მისი შემწე იქნება“. (ებუ დავუდ, ედებ 60)

---

ადამიანის  
სიცოცხლისა  
და საკუთრების  
უსაფრთხოებასთან  
ერთად საჭიროა  
ისეთი  
ლირებულებების  
დაცვაც, როგორიცაა  
აზრი, რწმენა,  
ლირსება და ნამუსი.  
ესენი  
ფუნდამენტური  
უფლებებია.

---

## შოთა გალეგოვნება

ადამიანთა შორის უფლება-მო-  
გალეობებზე საუბრისას დედმამიშ-  
ვილების უფლებების დაცვა, მათ-  
დამი არსებული პასუხიმგებლო-  
ბის გააზრება და ურთიერთბების  
სიმყარე განსაკუთრებულ მნიშვ-  
ნელობას ატარებს. უსამართლოდ  
მოქცევა დამმურ ურთიერთობებს  
დიდად დააზიანებს. ღვთის შუამა-  
ვალმა მუსლიმები ძმებად გამოაც-  
ხადა და მოუწოდა მათ, რომ ისინი  
ისე უნდა ყოფილიყვნენ, როგორც  
ერთი სხეული. როცა სხეულის  
ერთი ორგანო ტკივილს გრძნობს,  
მთელი სხეული შეწუხებულია და  
ვერ ისვენებს. მორწმუნებიც ასე  
უნდა იქცეოდნენ; როცა რომელიმე  
მათგანი გაჭირვებაში ჩავარდება,  
სხვები უნდა შეწუხდნენ და მის  
დახმარებაზე იზრუნონ. (იხ. ბჟჰარი,  
ედებ 27)

გარდა დახმარებისა ძმებთან  
კარგი ურთიერთბა უნდა გვქონდეს.  
მღიმარე სახე და ტკბილი სიტყ-  
ვა არ უნდა დაგამადლოთ. ყველა  
ისეთ სიტყვას და ქცევას უნდა მო-  
ვერიდოთ, რაც ძმობის სიყვარულს  
ზიანს მოუტანს. შუამავალი გვირ-  
ჩევს, რომ ძმების ნაკლოვანებებით,  
პირადული საიდუმლოებებით არ

უნდა დავინტერესდეთ და არც მათ  
წინაშე უპირატესობის დამტკიცე-  
ბას შევეცადოთ. ძმებს არასოდეს  
ვაქციოთ ზურგი და არასოდეს  
შეგვშურდეს მათ. ლვოის მსახურ-  
ნო, იყავით ძმები, დასძენს შუამავა-  
ლი. (იხ. თირმიზი ბირ 24)

მორწმუნე, რომელიც ისლამის  
გზავნილს სწორად გაიგებს, მორწ-  
მუნე ძმის სიხარულით გაიხარებს  
და მისი დარდის მონაწილე გახდე-  
ბა. როცა ძმას უჭირს მაშინვე და-  
სახმარებლად გაეშურება. როდე-  
საც მორწმუნე ძმა გზას ასცდება  
მის სწორ გზაზე დაბრუნბას შეეც-  
დება. მორწმუნე ადამიანი რასაც  
საკუთარი თავისთვის ისურვებს,  
მორწმუნე ძმისთვისაც იგივე სურს.  
ძმის ნამუსს, ღირსებას, ქონებას და  
სახელს საკუთარივით უფრთხილ-  
დება.

## დამხატველი და დამატებული უკ- ლებები

ისლამში ადამიანის შრომა და-  
ფასებულია. ყოველი მუსლიმის  
რელიგიური და ზნეობრივი ვალ-  
დებულებაა დააფასოს შრომა. ყუ-  
რანში ნაბრძანებია:

„და რომ არფერია ადამიანი,  
გარდა იღვწოდა რასაც“. (ნეკ 53/39)

აიათით ნაჩვენებია, რომ ადამიანი იღებს იმას, რასაც შრომობს და თავისი შრომის მატერიალური და სულიერი გასამრჯელო უნდა აიღოს. სადაც შრომაა იქ საუბარია დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთბებზე, მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. ყოველი მუსლიმი, რომელსაც ადამიანის უფლებებისადმი მგრძნობელობა გააჩნია, გინდ დამსაქმებელი იყოს, გინდაც დასაქმებული, დაიცავს მეორე მხარის უფლებებს და შეასრულებს ვალდებულებებს.

შუამავალი ბრძანებს; ‘შშრომელ ადამიანს ოფლის შეშრობამდე გადაუხადეთ გასამრჯელო’ (იბნ მაჯა, რფჲუნ 4) პადისიდან გამომდინარე დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს თავის დროზე, სრულად გადაუხადოს გასამრჯელო. ასევე დამსაქმებელი ვალდებულია გასამრჯელოს თაობაზე დასაქმებულს თავიდანვე შეუთანხმდეს. (იხ. ნესაი, მუზარა, 44) სამუშაო ადგილას აუცილებლად დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები. ასევე აუცილებელია, რომ დასაქმებულებს საშუალება ჰქონდეთ აღასრულონ

დევონისმსახურება. დასაქმებულებს ისეთი სამუშაო არ უნდა მიეცეთ, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება. (იხ. ბუჭარი, იმან 22)

სასწორის მეორე მხარეს დამსაქმებელის უფლებებია. კერძო ან საჯარო სამსახურში დასაქმებულები ვალდებულნი არიან სამუშაო ზედმიწევნით კარგად შეასრულონ და მათი აღებული ჯამაგირი ალალი იყოს. დასაქმებულები ასევე ვალდებულნი არიან დროულად და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით შეასრულონ სამუშაო.

ეკონომიკური ცხოვრების ერთეულთი მნიშვნელოვანი სფერო ვაჭრობაა. როგორც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობა ისლამის წესებისამებრ დარეგულირებულია, ასევე კონკრეტული რეგულაციები მოქმედებს მწარმოებელს, გამყიდველსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობებში. ვაჭრობაში მიუღებელი ქმედებები ძირითადად შემდეგია: წონაში და ზომაში მოტყუება, მოპარვა, არაკანონიერი შემოსავლები მიღება, ვალის დროზე გადაუხდელობა, საქონლის ნაკლოვანების დამალვა და მომხმარებელზე უნაკლოდ შესაღება, ყალბი საქონლის წარ-



მოება და სხვა. როცა ორივე მხარე პატიოსნად იქცევა, ვაჭრობა მისარები და სასარგებლოა. ვაჭრობის დროს ორივე მხარე ლმობიერად უნდა იქცეოდეს და ერთმანეთს საქმეს უოლებდეს (იხ. ბუკარი, ბურუ 16)

## სხვა ცოცხალი არსებების უფლებები

უფლებების გათვალისწინების საკითხში მხოლოდ ადამიანებზე არ არის საუბარი. ადამიანი დედამიწის „ხალიფადა“ მოვლენილი და მას ყველა ცოცხალი არსებისა და გარემოს მომართ გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. სამყარო თავისი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებით არის მდიდარი და ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია ღი-



რებული და მნიშვნელოვანია. სამყაროს უზადო წონასწორობა და ჰარმონია გააჩნია. ამ წონასწორობისა და ჰარმონიის დარღვევისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება მიუღებელია.

„უეჭველად, ჩვენ შევთავაზეთ პასუხისმგებლობა აეღო ცანსა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვეს და შეეშინდათ მისგან, კაცმა კი იტვირთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა, უგუნურია!“ (აჭაბ 33/72)

„და არ არიოთ ქვეყანა მისი კეთილმოწესრიგების შემდგომ . და შეევედრეთ მას შიშითა და სასოებით . უეჭველად, ალლაპის წყალობა ახლოსაა კეთილისმოესველთან“. (არაფ 7/56)

„ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ალლაპ-  
მა დაგიმორჩილათ თქვენ ის, რაცაა  
ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და  
სრულპყო თქვენდა თავისი მად-  
ლი ცხადიც და უხილავიც. მაგრამ  
ადამიანებს შორის არიან ისეთნიც,  
რომლებიც დაობენ ალლაპის თაო-  
ბაზე, ცოდნის, ჭეშმარიტი დამადგი-  
ნებელისა და მანათობელი წიგნის  
გარეშე“ (ლოქმან 31/20)

დიახ, ადამიანს ურიცხვი წყალო-  
ბა აქვს ლმერთისგან და სამყარო-  
ში არსებულ უთვალავ ცხოველსა  
და მცენარეს, სასარბელო წიაღი-  
სეულს და სხვა სიკეთეს იყენებს,  
მაგრამ ეს ყველაფერი ამანათია  
და რეალურად მთელი სამყაროს  
ჭეშმარიტი მპყრობელი დმერთია.

ცხოველთა უფლებები ერთ-  
ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.  
ცხოველების მიმართ ლმობიერე-  
ბა და მათზე ზრუნვა მორწმუნის  
შესაფერისი ქცევაა. შუამავალი  
ბრძანებს, რომ თუ მიწაზე მყოფებს  
შევიწყნარებთ, ჩვენც შეწყნარებუ-  
ლი ვიქნებით. (იხ. ორმიზი, ბირ, 16) ადამია-  
ნებმა ცხოველების თავშესაფარზე,  
კვებაზე, დაავადებებისგან დაცვასა  
და მსგავს საკითხებზე უნდა ვიზ-  
რუნოთ. ასევე დაუშვებელია მათი  
წამება. ცხოველების წამება ისლა-

მის ზნეობისთვის კატეგორიულად შეუსაბამო საქციელი და არადამიანურია. შუამავალი პირდაპირ გვაფრთხილებს: „ცხოველები არ აწამოთ!“ (იხ. მუხლიმ, ჯიჟად 32)

შუამავალი მოგვითხრობს ერთი კაცის შესახებ, რომელმაც უდაბნოში წყურვილისგან გატანჯული ძაღლი ნახა, ფეხსაცმელი გაიხადა, ჭაში ჩავიდა და იქიდან წყალი ამოუტანა. ასეთი საქციელის გამო ღმერთმა ეს კაცი შეიწყალა და ცოდვები მიუტევა. (იხ. ბუპარი, მუხა-ქათ 9) ჩვენ ასევე ვიცით შუამავლის მონათხრობი, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთმა ქალმა თავისი კატა დაამწყვდია და შიმშილით სასიკვდილოდ გაიმეტა. (იხ. მუხლიმ, სელამ 152)

იმ კაცმა მომაკვდავი ძაღლი სიკვდილს გადაარჩინა, შესაბამისად მან ძაღლის სიცოცხლის უფლებას პატივი სცა, შეიცოდა, ამიტომ ის დაჯილდოვდა, ხოლო ქალმა, რომელმაც კატა სასიკვდილოდ გაიმეტა, დაისაჯა. ადამიანი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისათვის კი არ უნდა ზრუნავდეს, მან მთელი ცოცხალი არსებების სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდეს. განკითხვის დღეს ისეთი სასამართლო გაიმართება,

რომ სხვათა მიმართ ჩადენილი სულ მცირედი უსამართლობაც კი არავის შერჩება.

### და ბოლოს

ისლამი სამართლიანობის და შემწყნარებლობის რელიგიაა და ყველა უფლების წყარო თავად ღმერთია. ყველა უფლება და პასუხისმგებლობა სწორედ მისი მხრიდან არის დადგენილი. საზოგადოებრივი მშვიდობა და სტაბილურობა ამ უფლებების დაცვისა და მოვალეობების შესრულების ხარისხეა დამოკიდებული. თანამედროვე სამყაროში გახშირებულია ისეთი ნეგატიური და დამანგრევებული მოვლენები, როგორიცაა ძალადობა, მკვლელობა, ტერორიზმი, ომი და ამათ ფონზე განვითარებული სოციალური უკმაყოფილება. ეს ყველაფერი კი უფლებების უგულებელყოფისა და მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლობის გამო ხდება.

შუამავალი მოგვიწოდებს, დავიცვათ სხვათა უფლებები. (იხ. ბუპარი, სავმ, 51) ის მოგვიწოდებს, რომ უფლებების დაცვის საკითხში განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ. განკითხვის დღეს, როდესაც მარ-

თალი და მტყუანი ნათლად განირჩევა, ჩვენი მომავალი მდგომარეობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სამართლიანი ვიყავით ამქვეყნად ცხოვრებისას. უსამართლოდ ვისაც მოვაჭეცით მიტევება უნდა ვთხოვოთ. თუ არ გვაპატია, არც ლმერთი გვაპატიებს.

მოკლედ, ყოველი დღის ბოლოს, ყოველი მორწმუნე უნდა დაფიქრდეს, რა გააკეთა იმ დღეს, ხომ არ დაარღვია ვინმეს უფლებები და ზოგადად როგორ მოიქცა. უნდა გაიაზროს, სამართლიანობა მისი უმთავრესი მიმართულება უნდა იყოს.





